# შინაური საქმეები

ᲧᲝᲚᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

№ 3.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 18, 1910 Წ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ 10 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲐᲗ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ



ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: მეცნიერული „პოდლოგები“; ახლო-მახლო — კ. წუთისოფელისა; † — ხელისა; დეკანოზ იოანეოსტორგოვის სიტყვების გამო საქართველოს მოკლულ რუსი ექსარხოს ნიკონის შესახებ ლ. ჩიხელისა; როგორ ექცევა მღ. თავის მრევლს — მღ. ნ. კანდელაკისა; რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები ბიბლიის შესახებ — ონ. მწირისა; პედაგოგიურ ნაწილს — ხოხობისა



ᲧᲝᲚᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ᲓᲐ 50 კ.

— გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს. —



✦ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ✦

იმერეთის წმ. გიორგის სარწ.-განმანათ.

„ᲫᲛᲝᲑᲘᲡᲐ“

ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირაშჩევის სახლში, გუბერნატ. კანცელიარიის ქვეშ,

ᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲡᲐᲡᲬᲐᲛᲨᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ

— ᲮᲔᲚ-ᲨᲘᲡᲐᲬᲔᲓᲝᲛ ᲗᲐᲜᲘᲡᲛᲔᲑᲘ —

ასრულებს სუფთად ᲓᲐ თავის დროზე.


## ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ „ᲞᲝᲓᲚᲝᲒᲔᲑᲘ“*).

მატერიალისტებს უნდათ მაინც და მაინც დაამტკიცონ, რომ ადამიანი მაიმუნისაგან წარმოსდგა. ᲯᲔᲠ კიდევ დარვინმა იმტვრია ამაზე თავი და ვერაფერს გახდა. მას შემდეგ გამოვიდა მთელი გუნდი მატერილისტებისა, რომელთაც თავის სიცოცხლის მიზნად დაისახეს გაამართლონ დარვინის თეორია ადამიანის მაიმუნობის შესახებ, თან გზა-გზა დასცინოდნენ მოსეს თქულებას ადამიანის გაჩენის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ყოველ გვარი ცდისა და კვლევა-ძიებისა ვერ მიხვდენ საწადელს. გამოდის, რომ კაცი ყოველთვის კაცი ყოფილა, მაიმუნი კი მაიმუნი—.

როცა მეცნიერი წინადაუღებელ აზრით იკვლევს რომელიმე საკითხს, მისი მუშაობა პატივსაცემია რა დასკვნამდისაც უნდა მიიყვანოს ადამიანი, ხოლო, როცა იგი წინადაღებულ, უკვე მისგან ᲞᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲓ მიღებულ აზრს დაუწყებს მტკიცებას, მაშინ მისი მუშაობა ფასს ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ და სასაცილოდ ხდის მის მეცნიერებას განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი გადაᲪᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ და არ ეშვება თავის აზრს მაშინაც კი, როცა ფაქტები სულ წინააღმდეგს ლაპარაკობენ. ასეთ სასაცილო მოგომარეობაში არიან დღის „მაიმუნისტები“ და განსაკუთრებით მათი მთავარპპ. ბ. გეკკელი. ეს ვაᲟᲑᲐᲢᲝᲜი ისე გაუტაცნია თავის ibee fix -ს რომ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲞᲐᲢᲐᲠᲐ „პოდლოგებიც“ კი შემოუპარებია ადამიანის განვითირების

*) „იხ. Цер. В.“ № 51—52—1909 Წ.

თეორიაში. ეს პოდლოგები დღემდის არავის ცოდნია და დღეს კი ცნობილი შეიქმნა ნემეც ბიოლოგ **არნოლდ ბრასსის** მეოხებით.

ბრასსი დიდი ხანიდგან ამჩნევდა და თურმე განცვიფრებული რჩებოდა იმ ემბრიოლოგიურ სურათების უსწორობით, რომლითაც ლექტორები ამტკიცებენ ადამიანის ცხოველურ ჩამომაყლობას. ბრასსმა მიზნად დაისახა აღმოეჩინა ამ ცრუ სურათების წყარო და ნახა, რომ იგინი ამოღებული იყვნენ გეკკელის თხუზულებებიდან. წასული წლის 10 აპრილს ბრასსმა წაიკითხა ლექცია შესახებ პირველ ყოფილი ადამიანისა და განაცხადა, რომ მსგავსება, რომელსაც გეკკლი პოულობს ემბრიონებში (зародыши) დამყარებულია შეცდომებზე და რომ გეკლმა რაღაც უბედური შემთხვევის გამო მაიმუნის ემბრიონზე ადამიანის თავი დაადგა, ხოლო მაიმუნის თავი ადამიანის ებრიონზე გეკკლი გაბრაზდა, დოქტორ ბრეინტებახს წერილი მისწერა, რომელშიდაც ბრასსის სიტყვებს „მტკნარი სიცრუე“ უწოდა და განაცხადა, რომ ცილისწამებისათვის სამართალში მისცემს, როგორც ბრასს, აგრეთვე იმ გამოცემებსაც, რომლებიც გაბედავენ ბრასსის განცხადების განმეორებას და მალე პასუხს მისცემს მის ბრალდებებზე.

პასუხი გამოვიდა. გეკკელი პასუხში ლაპარაკობს „უსირცხვილო მოგონებაზე“ დახელმეორედ ექადნება ბრასსი სამართალში მიცემას. აქ ბრასსი დარწმუნდა, რომ იგი ტყუილად სთვლიდა გეკკელის სურათებს მხოლოდ შეცდომად და გაუვებრობად; მან განაგრძო გეკკელის ნაშრომების შესწავლა და დარწმუნდა, რომ აქ წინადგანზრახული შეკეთებაა (поддѣлка), და გამოაქვეყნა ეს ამბავი გაზეთებ «volk» (Зигенъ) და „staatburger zeitung“-ში (Берлинъ). გეკკელმა ხელმეორეთ უპასუხა, რომ ყველა ეს შეთხუზულია ბრასსისაგან, რომ სურათები თავის შრომაში მას შემოტანილი აქვს ცნობილ ბიოლოგების სელენკის, რაბლის, კეიბელის, გისსის შრომათაგან და რომ ბრასსი ცილის მწამებელია. მაშინ ბრასსმა პირდაპირ შეუტია და წიგნაკში: „სირეკვნე თუ ფალსიფიკაცია“ ბრალი დასდო გეკკელს, რომ მან თავის მონისტურ თეორიის*) დასამტკიცებლად არა თუ სიმართლით არ ხატავს მაიმუნის, ადამიანის და სხვა რძითმკვებავ ცხოველების ემბრიონს, არამედ მოაცილა კუდი მაკაკს, რომ გამოეყვანა მისგან გილობატი (Hilobates — ადამიანის ერთი ცრუ წინაპართაგანი). გეკკელმა ამ ჟამად პასუხი გასცა გაზეთით სადაც ლაპარაკობს „mala fide“-ზე „სასაცილო ბრალდებაზე, თავის ორმოცი წლის ბრძოლაზე ჭეშმარიტებისათვის“ და უწოდებს ბრასს „უბედურ გნატიად, რომლის თავდასხმა სრულიად სერიოზული არარის მისთვის, ვისაც საქმის ვითარება ესმის.

ბრასსი იძულებული შეიქნა გაესაჩივრებია საქმე მეცნიერთა წინაშე. ეს შეასრულა მან წიგნაკით „საკითხი მაიმუნებზე“. აქ მან დაამტკიცა ზედმიწევნით სწორე ციტატებით, რომ გეკკელმა ცოცხალ არსებათა ევოლიუციის რიგის შესავსებად ბევრი მისგანვე შეთხზულ-გამოგონილი ტიპები გამოაცხადა ნამდვილ არსებულ ტიპებად და სრულიად დაამახინჯა სხვა მეცნიერთაგან მოღებული სურათები. მაგ. გეკკელმა მიუმატა თერთმეტი ხერხემლის ძვალი ადამიანის ემბრიონს იმის დასამტკიცებლად, რომ ადამიანის წინაპრებს კუდი ჰქონდათ. ნემეცური პრესსა ერთნაირად არ გამოეხმაურა ამ წიგნაკს, მაგრამ ყველანი კი თანახმა იყვნენ იმაში, რომ გეკკელს პასუხი უნდა მიეცა ბრასსისთვის ნემეცურ მეცნიერების პატივის დასაცველად, ამასთანავე აცხადებდენ სურვილს, რომ გეკკელი არ დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ლანძღვით, არამედ ემოწმებინა ფაქტები, დაესახელებია ლაბორატორია, რომელშიდაც იმექონებიან ის ანატომიური ორიგინალები, რომლებიც საფუძვლად დაედვენ მის სურათებს. ჟურნალისტები უმატებდენ, რომ ნემცის ხალხი არ მიიღებს სხვანაირად თავის მართლებას. დამალვა შეუძლებელი იყო და გეკკელმა პასუხი გასცა, ბრასს სტატიაში „იენა 24 დეკ. 1908 წ.“ ამ სტატიაშიც გეკკელი გვერდს უარს არსებით

*) მონისტური თეორია ამტკიცებს, რომ ქვეყანაზე მხოლოდ მატერიაა და არაფერი სხვა.

საკითხს, ცოტა რამეს „კეპლერის კავშირზე“*) ლაპარაკობს, ახალი იერიში მიაქვს ბრასსზე და სხვა მეცნიერებზე და შემდეგ აღიარებს, რომ სულ მცირე ნაწილი მის უმბრიოლოგიურ სურათებისა (შეიძლება 6 ან 8 ასზე) მართლა შეკეთებულია (подѣланы), როგორც დრ ბრასსი ამბობს; მაგრამ თავს მართლულობს იმით, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ამ საქმეში და რომ მას ის გარემოება ანუგეშებს, რომ მასთან ერთად საბრალმდებლო საქმეზე ასობით ზიან თანამოაზრენი და თანამონაწილენი: რადგან, აცხადებს იგი, უმეტესი ნაწილი ანატომიურ-ემბრიოლოგიურ სურათებისა, რომლებიც მოთავსებულია თვით ცნობილ წიგნებსა და ჟურნალებში, „ზედმიწევნით სწორნი არ არიან, არამედ ცოტად თუ ბევრად სახეშეცვლილნი და გამოგონილნი“. გეკკელი ათავებს თავის სტატიას ყოველ სარწმუნოებათა წინააღმდეგ ამხედრებით და აცხადებს, რომ ის თავს დაანებებს თავის კათედრას იენის უნივერსიტეტში იმ შეგნებით, რომ მან შესწირა თავის სიცოცხლე „ჭეშმარიტების სამსახურს“. გეკკელის პასუხმა გააკვირვა მთელი გერმანია, მაგრამ მიუხედავათ ამისა გამოჩნდენ მწერლები, რომელთაც გაბედეს გეკკელის დაცვა. მაგრამ გეკკელს უნდოდა თავი გაეთეთრებია და წამოაყენა მძიმე ბრალდებანი წინააღმდეგ თავის „მხანაგებისა; მაშინ „კეპლერბუნდის“ ორმა დირექტორმა დ-რ დენნერტმა და დ-რ ტეიდტმა სთხოვეს მას სახელდობრ აღენიშნა იგინი და გამოსთქვეს იმედი, რომ მსწავლულები მოახერხებენ თავის გამართლებას. რადგან პასუხს ვერ ეღირსენ ვერც ნემეც სწავლულების და ვერც გეკკელისაგან (ამ უკანასკნელს ჯერაც არ უპასუხნია), პროფ. დენნერტმა და დ-რ ტეიდტმა მიმართეს წერილით გერმანელ ანატომებს, ზოოლოგებს და ემბრიონისტებს და სთხოვეს გამოეთქვათ თავისი აზრი, თუ როგორ უყურებენ იგინი ამ ბრძოლას და საჭიროთ რაცხვენ თუ არა, გამოაცხადონ საზოგადო პროტესტი გეკკელის ინსინუაციების წინააღმდეგ. პასუხი მიიღეს თუთხმეტ მსწავლულთაგან. არავინ მათგანმა მხარი არ დაუჭირა გეკკელს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უხერხულად შერაცხეს საერთო კოლექტიური—პროტესტი და იკმარეს კერძო პასუხები გაზეთებში და ჟურნალებში. ამ ამბით ამტყდარმა განგაშმა შეაძრწუნა მონისტები, რომლებსაც ეშინოდათ, რომ მათი თეორიები არ შებღალულიყვნენ. ამიტომ მონიზნის მომხრე 46 მსწავლულმა და პროფესორმა გამოსცეს შემდეგი შინაარსის დეკლარაცია:

„ქვემორე ამისა ხელის მომწერნი ანატომიის და ზოოლოგიის პროფესორნი, ანატომიურ ინსტიტუტთა დირექტორნი აცხადებენ, რომ, თუმცა იგინი არ ამართლებენ გეკკელის საქციელს (შესახებ ემბრიოლოგიურ სურათების დამახინჯებისა), მაგრამ გადაჭრით ეძაგებენ მეცნიერობის სასარგებლოთ იმ დოქტრინალურ თავისუფლებას, რომელიც გამოიჩინა დ-რმა ბრასსმა და „Keplerbund“-მა გეკკელის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას გარდა ისინი აცხადებენ, რომ თეორია ევოლიუციისა, როგორც თეორია სახეთა წარმოშობისა, სრულებითაც არ შერყეულა ზოგიერთ ემბრიოლოგიურ სურათების არა სისწორით“.

ორმოცდა ექსთა დეკლარაციის პასუხად გამოვიდა დეკლარაცია ოცდა ჩვიდმეტისა, აგრეთვე უნივერსიტეტების პროფესორთა, ანატომიურ და ემბრიოლოგიურ ინსტიტუტთა და სხ. თანახმად „Keplerdund“-ისა მათ განაცხადეს, რომ საჭიროა არ ავურიოთ ერთმანეთში საკითხი ევოლიუციაზე და საკითხი გეკკელზე და დიდ დასვეს გეკკელის მეცნიერულ მეთოდს. (სამარცხვინოდ აღიარეს გეკკელის საქციელი).

ამნაირად გამარჯვება დ-რ ბრასს დარჩა, მაგრამ მან მოინდომა ედევნა მტერი მის უკანასკნელ სიმაგრემდი და ეჩვენებია მისთვის, რომ მას „არ შემოლეეია საისრეში ისარი“,

*) Keplerlund—არაკომფესიონალური საზოგადოება გერმანელ მსწავლულთა რომელთაც მიზნად აქვსთ დასახული, დაიცვან სარწმუნოების უმთავრესი ჭეშმარიტებანი ურწმუნოთა და განსაკუთრებით მონისტთა წინააღმდეგ ამ კავშირმა გამოაქვეყნა ამას წინად უმთავრესი დოკუმენტ-ბი შესახებ გეკკელ-ბრასსის ბრძოლისა სათაურით, въ „интересѣ науки“.

როგორც ირონიულად სწერდა თვით გეკკელი. ერთმა ორმოცდა ექვსთაგანმა, დ-რ რაბლმა ლეიპციგიდგან, დასწერა 5 მარტს 1909 წ. გაზეთ „francf. zeitung“-ში, რომ თუმცა „Keplerund“-ი კი ფიქრობს, რომ მან ბრალი დასდო გეკკელს მეცნიერულ პატიოსნების უარყოფისათვის, მაგრამ 46 მსწავლულს „Keplerbund“-ზე უფრო კარგათ ესმის, რა არის გეკკელი მეცნიერებისათვის“.

დ-რ ბრასსმა პასუხი გასცა ამაზე თავის წიგნის „Affenproblem“-ის მეორე გამოცემაში. აქ მან აღნიშნა დამახასიათებელი ფაქტი, რომ გეკკელის მომხრენი და მოწაფენი, რაც შეიძლება ბეჯითად გაურბიან თავის შრომაში ყოველგვარ ციტატებს გეკკელის თხზულებებიდან და უფრო მის ემბრიოლოგიურ სურათების გადმოღებას, და თუ მათი გადმოღება აუცილებელია, მხოლოდ შესწორების შემდეგ შვრებიან ამას. მაგალითად გეკკელის ერთმა ბრწყინვალე მოწაფეთაგანმა, პროფ. ციურიხის უნივერსიტეტისა დ-რმა არნოლდ ლანგმა გამოსცა შედარებითი ანატომია უხირხიმლოთა; 854 სურათისაგან მხოლოდ 16 გადმოღებულია გეკკელისაგან და ისინიც შესწორებულია. ორმა 46-თაგანმა დ-ბმა კარმელტმა და გეიცერმა გამოსცეს ისტორია უხირხიმლოთა ევოლიუციისა და 899 სურათთაგან მათ ერთიც ვერ გაბედეს შემოეტანათ გეკკელისაგან. იგივე ემჩნევა თანამედროვე ნაშრომებს გარტინგისას, 'მიუნიხისას, ერნსტ კრაუზესას, ბელშესისას. ბოლოს ბრასსი ამტკიცებს, რომ გეკკელის შრომაში განზრახ დამახინჯებულია ასზე 30 სურათი.

მეტი სიყალბე შეუძლებელია!

---

# ახლო-მახლო.

(საახალწლო).

ვიღაცამ სთქვა: „ჩვენი გაზეთების თანამშრომლებს მასალები აკლიათ, ერთსა და იმავეს იმეორებენ, მხოლოთ სამოსელს უცვლიანო“.—ეს სავსებით მართალი არ არის, მაგრამ არც ის ითქმის, რომ ეს სრულიად სიმართლეს მოკლებული იყოს. გამოვტყდეთ უნდა, რომ რამდენადაც გაზეთები ვრცელდებიან რიცხვით, იმდენადვე ისინი წვრილმანღებიან შინაარსით: ნაკლებ ეტყობათ დამჯდარი დარბაისლობა და უფრო ემჩნევათ ახალგაზდური გატაცება და სიცელქე. მგონია არც ის ჩამოგვერთვას ცილის წამებად, თუ აღვიარეთ, რომ გაზეთები და მათი თანამშრომლები, მომეტებულ ნაწილად, ძალიან ხაროობენ ერთი-მეორის წაბაძვით... რითაც მკითხველს კითხვის ხალისი ეკარგება და მართლაც ჰფიქრობს: „მასალები აკლიათო“. (ეს ნაკლი მარტო „ეშმაკის მათრახს“ არ სჭირს). შეიძლება ვიფიქროთ, რომ თანამედროვე გაზეთები საკუთარი ინტერესების და პიროვნების დაცვას უფრო ეტანებიან, ვიდრე საზოგადოების სამსახურს, რის გამოც იმათ „და სრულიადში“ იმდენი არა გამოდის-რა, რამდენსაც თვით მეგაზეთეები ჰფიქრობენ და მკითხველი საზოგადოება მოელის. ნუ თუ დაშორდენ გაზეთებს ნაყოფიერი თანამშრომლები? მართალია, იტყვიან: „დრონი იცვალნენო“, მაგრამ სასურველი ის არის, რომ გამოცვლილმა დრომ უმჯობესობამდის მიგვიყვანოს... სულ სხვა იყო რავდენიმე წლის უკან, სულ სხვა გვარ წერილებს ვკითხულობდით მაგ., „კვალში“, სანამ მის უმთავრეს ბურჯად განსვენებული გ. წერეთელი ითვლებოდა. „ივერიაში“, —ილიას ხელში და სხვ. მათში ნახავდით საუკეთესო აზრებს, სულ სხვაგვარ მნიშვნელობის სამეცნიერო წერილებს, ყველასათვის საჭირო მასალებს, მაღალ აზროვან ლექსებს, ცხოვრების სურათებს, მეტად ხელოვნურად შემუშავებულ მოთხრობებში გამოყვანილს საუმჯობესო ადგილებს ქვეყნების გაზეთებიდან, მახვილ-ლაზათიან იუმორებს და სხვა და სხვა. დღეს გაზეთებმა ფერი იცვალეს, მაგრამ „ძველი უმჯობეს არს ახლისა“, რაც სრულიად სასურველი არ არის.—ულოცავთ ქართულ გაზეთებს განახლებულ 1910 წელს.

* * *

საზოგადოდ ყველასთვის და კერძოდ სამღვდელოებისათვის ინტერეს მოკლებული არ

არის გაზეთი „შინაური საქმეები“, მაგრამ კერძოდვე სამღვდელოების მხრით მას ნაკლები ყურადღება აქვს მიძღვნილი, რაც ცუდ მოვლენას უნდა მიეწეროს. ეს გაზეთი დასაბამიდანვე სულ სხვა გზას დაადგა: მან დარბაისლობა ამჯობინა, გაზეთებთ შორის შეწყნარებულ ყმაწვილურ სიგიჟმაჟეს, გასწია წინ და კიდეც დაშორდა თანამშრომლებს... თუ უანგაროთ შევაფასებთ ამ გამოცემას, ის, თითქმის ბევრ რუსულ სასულიერო გაზეთებსაც გაუსწორდა, თუ არ ვიტყვით გადააჭარბა. და თუ მაინც არ ეტანებიან მას ჩვენი მოძღვრები, ისიც სხვისი ჯიბით, (მაგ. გურია სამეგრ. ეპარქ. სამღვდელოება) მიზეზი ამისა იმაში უნდა მოინახოს, რომ ამ სამღვდელოების უმრავლესობას წმიდა მოვალეობად დაუსახავს გაზეთის ხელში არ აღება. ასე რომ რედაქტორებმა თითო მანეთიც რომ გაუგზავნონ, ისინი გაზეთს მაინც ზურგს შეაქცევენ—სახლში შეუგდოთ, კარში გააგდებენ. რაც შეეხება „განათლებულ“ სამღვდელოებას, ცოტა არ იყოს, ისინი კიდეც უკადრისობენ „ქუთაისიდან“ გაზეთის გამოწერას (ფაქტი)! ასეთია ჩვენი ვიწრო თავმოყვარეობა! ეს გაზეთი გარეშე ქვეყნიდან რომ იცემოდეს, ასეთ ხელსაყრელ პირობებში, სიამოვნებით გამოიწერდენ ჩვენი „კიკოლიკი“, „ჩიკოლიკი“ და „კუდაბზიკები“.

რამდენადაც სამხიარულოა „შინაური საქმეების“ თანამშრომლების მომზადება, ნაკითხობა, ცოდნა და განვითარება, რაც ნათლად სჩანს ამ გაზეთის ფურცლებზე, ორი იმდენად სამწუხაროა ის გარემოება, რომ დანარჩენ მღვდლებს სათქმელ-საწერი თითქმის არაფერი ჰქონიათ (!). დღეს ქუჩის ბიჭებიც რაღაც ფაცა-ფუცშია და უფრო იმათი წერილები გვიცვია ხელში სხვა და სხვა ფსევდონიმით და მღვდლებს კი პირში წყალი ჩაუყენებიათ!.. საინტერესოა ერთი ბიჭის ლექსები ერთ-ერთ გაზეთში. ეს ბიჭი, რომლისგან ხეირიანი ბარათის შედგენასაც არ მოველოდი, მაძლევს გაზეთის ნომრებს და შეუბნება: „წაიკითხეთ „ფაჩუ“-ს (ფსევდონიმია) ლექსებიო“. წავიკითხე რამდენიმე გაგრძელებები და ყოველმხრივ მოსაწონი იყო- „მერე ვინ არის „ფაჩუ“—მეთქი?“ —შევეკითხე მე.—მე ვარო,—მორცხვად მიპასუხა მან. ბიჭი იქნება 16 17 წლის, რომელსაც სასულიერო სასწავლებელი ძლივს მოცოდვილებული აქვს. რა დამართნიათ მღვდლებს, მედავითნეებს, სკოლის მასწავლებლებს? რითი უნდა იმართლონ მათ თავი, როცა ერთად-ერთ სასულიერო გაზეთს მთელ საქართველოში სულ რაღაც შვიდი თუ რვა თანამშრომელი ჰყავს, ისიც ზოგს, მგონია, ორი-სამი ფსევდონიმი აქვს? ჩვეულებრივი სიზარმაცით, აბა მეტი რით?

ულოცავთ „შინ. საქმეებს“ ახალ წელს, უსურვებთ მას დღეგრძელობას და სამღვდელოებას კი მისდამი გულით თანაგრძნობას.

* * *

ერთ უფლებით შემოსილ უფროსს ზოგიერთები ემდურიან ჩვენში და ემდურიან იმიტომ, რომ უფროსის გაკეთებული სარკე თავიდან ფეხებამდე ნაკვეთად აჩენს ხელქვევით თანამოსამსახურეების ფიზიონომიას. მაგონდება ერთი იგავი, რომელიც, მგონია, ბ. აკაკის უნდა ეკუთვნოდეს. ერთს ქალაქში სარკის ხელოსანს თურმე ქალები აუხირდენ და საჩივარიც შეუტანეს ყალბი სარკეების კეთებისათვის. „არა ბატონო,—აგო პასუხი მესარკემ, მე სრულიად მართალ სარკეებს ვამზადებ, მაგრამ ჩემი მომჩივნები ყველა მახინჯებია და ამ სიავეს სარკეს აბრალებენ. კიდევ მოიძებნება აქ ათიოდე ლამაზი ქალი, რომელნიც უმადლიან ჩემს ხელობას. გთხოვთ დაიბაროთ, მომჩივნებში თუ ერთი ლამაზიც გამოერევა, თავი მომეჭრითო“. მოსამართლემ მართლაც იხმარა ეს ხერხი, მესარკის სიტყვა გამართლდა და გაათავისუფლა.

თურმე სამდურავის ღირსი ყოფილა უფროსი თუ, რომ 10—15 ვერსიდან „შეღავათიანად“ მოსამსახურე პირები აიძულა თავიანთ რაიონებში დაბინავებულიყვნენ! თურმე ღირსი ყოფილა უფროსი „მრისხანის“ სახელით მონათლონ თუ, თავის შორს-მჭვრეტელობით გაიძვერა მოსამსახურეებს შეატყო მაიმუნობა და შესაფერად დააჯილდოვა! თურმე, ნუ

იტყვით, ღირსი ყოფილა უფროსი, რომ „ვაჟ-ბატონებმა“ მას „შეუწყნარებელი“ უწოდონ, რადგანაც ერთი ამ ვაჟბატონთაგანი, რომელიც ამ მეოცე საუკუნეშიაც ძველი მებატონის როლს თამაშობდა და აშინებდა ხელქვეითებს, რადგან სიმძიმით თორმეტ ფუთს იწონიდა, ამავე უფროსმა, მავნებლობისა და ყოვლად უვარგისობისა გამო ჩამოაბრძანა ტახტიდან! თურმე... და რამდენი თურმე გნებავთ გამოაჩინოს სარკემ!..

უმჯობესია ყველა თავის ქერქში ჩადგეს და მტკიცეთ გაიზეპიროს ხალხური გამოთქმა: „на зеркало неча пенять, коли рожа крива.“

უსურვებთ უფროსს მრავალ ახალ წელს და როგორც სამსახურისამებრ, ისე ზნეობრივადაც წინ წაწევას მაზე დამოკიდებული მოსამსახურეებისას.

კირილე წუთისოფელი.

---

8 იანვარს წუთისოფელს გამოასალმეს ერთი საუკეთესო წევრი თანამედროვე კეთილ-შობილთა წრისა. მოკლეს ბრაუნინგით თავადი ალექსანდრე თენგისისძე დადიშკელიანი. მკვლელი მიიმალა და ამიტომ ნამდვილი მიზეზი მკვლელობისა გამოურკვეველი დარჩა. საზოგადოებაში დაჟინებით ასახელებენ ერთ და იმავე მიზეზს, მაგრამ ჯერ ამის საბუთი არ აღმოჩენილა და ამიტომ მაზე სჯა—ბაასი ჯერ უდროვოა და უნიადაგო. ეს მესამე მკვლელობაა ცნობილი, უდანაშაულო და პატიოსნებით შემკულ ადამიანისა. ილია ჭავჭავაძე წინამერის ველზე, ტრიანდაფილდიდისი ბათუმში, ალექსანდრე დადეშკელიანი ქუთაისში—აი სამი უბრალო სხვერპლი თანამედროვე ძმათა მკვლელობისა. ამათ გარდა კიდევ ბევრია ასეთი სხვერპლი მეოცე საუკუნისა, მაგრამ მათზე ვერაფერს ვამბობთ, რადგან ცნობილი არ არიან.

მე დაახლოვებით ვიცნობდი თ. ა. დადიშკელიანს და ვმოწმობ სხვათა შორის, რომ მას არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა არა თუ საზოგადოების წინაშე, არამედ უბრალო თავმოყვარეობით გაჟღენთილ თანამედროვე ბიჭთანაც კი, რომელსაც სხვისი ღვთის წყალობა ღვთის რისხვათ მიაჩნია და თავი საზოგადოების მცველ ფარად მოაქვს. ბუნებით იგი შემკული იყო ყოველგვარ ადამიანურ სათნოებით. მშვიდი, უწყინარი, თავმდაბალი, მოალერსე, წრფელი, შემბრალ—მოწყალე, სტოიკურ მოთმინებით სავსე. მედიდურობა, თავადური სიამაყე, თავის გამოჩენა, ამპარტავნება და სხვა ასეთი ბიწიერება არ იცოდა მისმა კეთილშობილურმა გულმა. ამასთან იგი იყო მშრომელი და ოჯახის მუყათი კაცი. მუდამ ერთ და იმავე გახუნებულ ტანისამოსზე შეატყობდით, რომ ეს კაცი, რასაც შოვობდა, სულ სხვას ახმარდა და თავის თავი დავიწყებული ყავდა.

დღეს იშვიათად შეხვდებით ასეთ სათნოებიან კაცს, ასეთ ღირსებით შემკულ ადამიანს და აი ასეთი კაცი მოჰკლეს, ასეთი ადამიანი გამოასალმეს წუთისოფელს, შემუსრეს ჭურჭელი ამდენ კაცურ სათნოებათა მატარებელი. სამწუხაროა ჭეშმარიტად ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა; აუტანელია და მოუნელებელი ის ხანა, რომელსაც განიცდის დღეს საქართველო. საკუკეთესო მშრომელი და პატიოსნებით სავსე პირები ხელიდგან გვეცლებიან და ვინღა გვრჩება?...

რა არის მიზეზი დღევანდელი ძმათა მკვლელობისა? რაშია საქმე? რამ გამოიწვია ეს უბედურება ჩვენში, ისიც მეოცე საუკუნეში, რომლისგანაც ყველა რაღაც სიხარულსა და ბედნიერებას მოველოდით? რა ამბავია, რომ განადგუ-

რების და მოსპობის გზას დავადექით ყოველი მხრით? საჭიროა ჩვენი პრესა ღრმად ჩახედავდეს ამ საკითხს და გამოირკვევდეს, თუ რათ ხდება ასეთი ამბავი ჩვენ თავზე, და სად არის ხსნა უბედურებისაგან? საჭიროა ცოტა ხნობით გადავდვათ ხრუნვა სოციალიზმზე და დავუბრუნდეთ მასზე ფიქრს, ვისაც ამ სოციალიზმს ვუმზადებთ.

ხელი.

---

## დეკანოზ იოანე ვოსტორგოვის სიტყვების გამო საქართველოს მოკლულ რუსი ეპისკოპოს ნიკონის შესახებ.

(თარგმანი).

ქართველ იერარქებს, თუნდაც მმართველ სინოდისაგან კათედრიდგან გადაყენებული იყვნენ, არ ერთმევათ უფლება მათი ეკკლესიის სახელით მიექცენ თხოვნით დედა-ეკკლესიას და სთხოვონ მას გამოსარჩლება. რასაკვირველია, სინოდს შეუძლია არ მიაქციოს ყურადღება დედა-ეკკლესიის გამოსარჩლებას ივერიის ეკკლესიის უფლებაზე და სამოქალაქო ძალის დახმარებით შეკრას ქართველთა იერარქები და გაფანტოს იგინი რუსეთის მონასტრებში, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ასეთი მოქმედება ვერაფერს შეძენს. ქართველ იერარქებს შეუძლიათ არ დაემორჩილონ რუსეთის სინოდის განკარგულებას, შესწყვიტონ მასთან კავშირი და იხილონ მხიარული მიღება მართლ მადიდებელ აღმოსავლეთში, ვინაიდგან მმართველ სინოდს არ ძალუძს ჩამოართვას ქართველ იერარქებს ღირსება; ასეთ უფლებას არც ერთი ავტოკეფალური ეკლესია არ აღიარებს მათ'ზე. აღვნიშნოთ, რომ მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტს არას დროს არ აღუარებია რუს ეპისკოპოსები საქართველოში ქართველ ეკლესიის წარმომადგენლებად, რის შესახებაც არა ერთხელ უთქვამს ა. ნ. მურავიოვისათვის.

1882 წ. გარდაწყვეტილი იყო ქართველების გარუსება და მათი გარდაქმნა რუსებათ. ამის გულისათვის სინოდმა ამოარჩია კირ-პავლე, რომელმაც ააღელვა თავის წინააღმდეგ მთელი ბესარაბიის სამწყსო. თუმცა ის მცხეთის კათედრაზე აღსვლის დროს მიიქცა ქართველ ხალხისადმი საკმაოთ გრძნობიერი სიტყვით, მაგრამ ქართველებმა უკვე იცოდნენ საქართველოში გავრცელებულ გაზეთებით („Восток. Рус"), როგორი იერარქი მისცა მათ სინოდმა და რა გამოცანაც დააკისრა მას. მის მეოთხე წლის ეპისარხოსობის დროს ქართველებმა მოჰკლეს სემენარიის რექტორი დეკანოზი ჩუდეცკი *) რომელიც სდევნიდა მოწაფეებს, როგორც ქართული წიგნების ქონებისათვის ისე ზემო-აღნიშნულ გაზეთების კითხვისათვის.

ტვერის არხიმანდრიტი საბა თავის 1886 წ. ავტობიოგრაფიაში სწერს: „წყეულ არს ხალხი, წყეულ არს მიწა (ეს ხვედრი ღვთის-მშობლისა, მიწა რომელზედაც ქრისტიანობის თესლი დათესილია წმ. მოციქულებისაგან: ანდრია პირველწოდებულ და სიმონ კანანელისაგან, მიწა, რომელმაც მისცა მართლმადიდებელ ქვეყანას აურაცხელი გუნდი ქრისტესთან ტანჯულ მოწამეებისა და აღმსარებლებისა), მშობელი ეგრეთ ავაზაკისა **) წარმოსთქვა მღვდელმთავარმა პავლემ მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე. და ქართველ ერსაც არ შეუძლია მოთმენა ასეთი მეუფისა. მღვდელმთავარ პავლეს ეშინიან თავის თავის სიცოცხლის და თხოვს და ევედრება გადაიყვანონ სხვაგან. ის ეხლა დაიარება შეიარაღებულ ცხენოსნებით."

კ. ბ. პობედონოსცევი მიენდო ვეცხლის მოყვარე სინოდის მოხელეებს, (რომელნიც იძენდნენ ასიათასობით ფულს სხვა და სხვა საქმეზე, მაგალითად საეპისკოპოსო კათედრების გაყიდვით, განქორწინებით და სხვა) ვერ შეძლო ხალხის გაცნობა და სცდილობდა გაეგზავნა საქართველოში ეპისარხოსები, როგორც დამამშვიდებლები მხარისა. ყოველად

*) ქართველებს ჩუდეცკი არ მოუკლავს, როგორც არ მოუკლავს განსვენებული ეპისარხოსი.

**) დეკანოზ ჩუდეცკის მკვლელისა. რ.

უსამღვდელოეს პავლეს მოადგილენი დადიოდენ უმხედროთ, ჯ მიტროპოლიტი პალლადი და ფლაბიანე კიდევაც უყვარდათ ქართველებს. უკანასკნელს თავადებმა და სამღვდელოებამ ოქროს ასოებით დაბეჭდილი ადრესიც მიართვა სამღვდელოებისა და სამწყსოსთან კეთილ დამოკიდებისათვის. რას უწერდენ ადრესში კირ-ფლავიანეს ქართველები?

„თქვენი სამსახური საქართველოს საეკლესიოში, მუხედავათ ხანმოკლეობისა, მეტად ნაყოფიერია. მთესველს, რომელიც თესავს კეთილ თესლს, ღვთისგან მინიჭებულ ყანაში, არ სჭირდება ხანგრძლივი დრო, რომ მიიღოს მდიდარი სამკალ, წელთა რიცხვით არ გაიზომება შეესკვალულება და სიყვარული ხალხისა თავის მწყემსისადმი. წმიდა თესლი—სიტყვა მწყემსისა, ჩავარდება რა სამწყსოს გულში, ასობით მოაქვს ნაყოფი დათესვის წელსავე. მშვიდობა, სიყვარული და კურთხევა ახარეთ თქვენ საქართველოს *) სამწყსოს თქვენი შესვლისათანავე ცათა დედოფლის საღვთო ხვედრში, რომელიც არის შეღებული წმ. მოწამეთა სისხლით. ქართველი ხალხის ყველა ძარღვმა გულწრფელად შეგიყვარათ თქვენ, მადლიანი და სიყვარულით აღვსილი არქიეპისკოპოსი, თქვენი მამობრივი ყურადღებისა, მიმღებიანობისა, ადამიანობისა და სიმართლისათვის. მხოლოდ სულიერი შეერთებით მწყემსისა და სამწყსოსი შეიძლება გაგება ერთმანეთისა და გამსკვალვა სიყვარულით. ურთერთ სიყვარულზე კი სუყველაფერი შენდება, სიყვარული ყველაფერს ასულდგმულებს და ყველაფერსა ჰფარავს! თქვენ იცანით თქვენი სამწყსო და სამწყსომ თქვენში დაინახა თავის მწყემსთ მთავარი.

*) წინამძღვარი კირ-ფლავიანისა არ იცნობდა ქართველ სამწყსოს, ის უწოდებდა მას „კავკასიურს». მიმართვა მოწმობს, როგორ უხაროდა ქართველ სამწყსოს ეკლესიის მდეენელის საქართველოდგან წასვლა და მოსვლა დამამშვიდებელის; სამწუხაროდ ყოვლად სამღვდელო ფლავიანე, დაემკვიდებარა მ. ვოსტორგოვის გავლენას, იძულებული შეიქმნა წასულიყო და დასტოვა თავის შემდეგ არა კეთილი ხსოვნა.

ბედნიერია სამწყსო, მყოლი მწყემსმთავარისა, რომლისთვისაც ეგრევე ძვირფასი და სალმრთოა ქართველთა საკურთხეველნი და სიწმინდენი, როგორც იგინი ძვირფასია ივერიის ეკლესიის თვითოეულ შვილისათვის...

თქვენ განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეთ ქართულ ეკლესიურ კითხვას და გალობას. თქვენი მწყემსთმთავრული კეთილმზრუნველობით განახლდა ქართული ეკლესიური გალობა, რომელმაც ხელახლად მოჰფინა სამშობლო მელოდია საქართველოს წმ. ეკლესიებს. ქართული ეკლესიური ენის უკეთესად დაყენებისათვის, ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლებში, თქვენ კეთილ ინებეთ მოწყობა კომიტეტისა საპატიო პირებისაგან.“... ფლავიანეს, სჩანდა, უნდა გაეგრძელებია სიარული იმ გზით, რომელზედაც დაადგა. იმან დაიწყო აღდგენა მცხეთის პატრიარქულ სობოროსი, მოწყობა საეკლესიო სამრევლო სკოლებისა, გაუმჯობესება ტრაპეზის მოსამსახურეთ მატერიალურ მდგომარეობისა, ემზადებოდა შესდგომოდა ბეჭდას ქართული საეკლესიო წიგნებისა (ყველაფერი მოხსენებულია მიმართვაში), და დაასრულა თავის სამსახური მით, რომ იძულებული გახდა დაეტოვებინა 1901 წ. საქართველო, სამი წლის ექსარხოსობის შემდეგ.

სინოდის ოფიციალურ ორღანოში (перк. вѣд.) მოთავსებული სიტყვები მ. ვოსტორგოვისა, ნამდვილი საბრალმდებლო ოქმია, მხოლოდ სხვისკენ მიმართული. მ. ვოსტორგოვი უნდა თავის თავს მიქცეოდა მსგავსი ბრალდებებით, რადგან არავინ ეგრე საფუძვლიანად არ უწყობდა ხელს თანხმობის მოსპობას ქართველებსა და რუსებს შორის, როგორც მ. ვოსტორგოვი თავის თერთმეტი წლის დიქტატორობის დროს კავკასიაში.

თავის გარდაცვალების რამდენიმე დღის წინად ექსარხოს კირ-ნიკონმა შესჩივლა პატივცემულ პროფესორ ა. ა. ცაგარელს, რომ მ. ვოსტორგოვის პროექტებმა, კავკასიაში საეკლესიოს ანუ სამიტროპოლიტოს არსებობაზე, რომელიც დაბეჭდილია მეორე განყოფილების ოქმებში, სრულებით გაუფუ-

ჰეს მას საქმე,—განსაკუთრებით დაჟინებით მოთხოვნამ ორივე პროექტში, —„წაერთმიოთ ქართველებისათვის სიონის სობორო და გადაეცათ რუსის სამლვდელოებისათვის“.

ეს ხომ,—დაუმატა ექსარხოსმა,—ქადაგებაა საქართველოს პირველ და უძველეს (მეხუთე საუკუნის) სიწმიდის ექსპროპრიაციისა“(спб. вѣд. № 166).

განსვენებული ექსარხოსი რუსეთის კრებისაგან „მოელოდა დამშვიდებას, სწამდა,რომ ქართველთა გულში არ დამშრალა სარწმუნოება, რომ უკეთეს გარემოებაში, ავტოკეფალიის დროს სარწმუნოებას შეეძლო ახლად აღგზნება“. მორწმუნე ქართველების სიტყვით, ექსარხოსი ნიკონი დაიღუპა სხვისი ცოდვისათვის, ქართველების დამხრჩობ და ძალდამტანებელ ვოსტორგოვის მოქმედებისათვის.

თუ რისთვის დაიღუპა რუსი ექსარხოსი საქართველოში, იცის ერთმა ღმერთმა, მაგრამ თუ „ის დაიღუპა,—როგორც გვარწმუნებს მ. ვოსტორგოვი საეკკლესიო უწყებაში № 26, რუსულ ეკლესიურ და სახელმწიფოებრივ მთავრობისათვის“, ამაში არ არის მოწამეობა. რუსული ეკკლესიური წყობილება, რომელიც იმპერატორ პეტრე პირველის დროიდგან გადაჭრით ეწინააღმდეგება საღვთო კანონებს, და რომელმაც კინაღამ დამსხვრევამდის მიიყვანა რუსეთის ეკკლესიური გემი, არ არის ისეთი, რომლისთვისაც მწყემსმთავარი მართლმადიდებელი სამწყსოსი ვალდებული იყოს დასდვას თავის სული. საქართველოში არც ერთ ეკკლესიისათვის თავგამოდებულს არ ჰქონია მხედველობაში რუს ექსარხოსს მოკვლით „დაეფრთხო მწყემსთმთავრები და მწყემსები და გადაეხვევნებინათ მოვალეობის გზიდგან.“

„მართლმადიდებელ ჯვაროსან საქართველოს მხოლოდ ერთი რამე სურს; რომ რუს ექსარხოსები ძტკიცეთ და გულ მოდგინეთ ინახავდენ საღვთო კანონებს და იცავდნენ თავის სამწყსოს: მაშინ საჭირო არ იქნება არც მცველები მართებლობის მხრიდგან, არც ცხენოსნები, რადგან სამწყსო დაიცავს მწყემსთმთავარს, როგორც თავის თვალის გუგას“....

„მ. ვოსტორგოვის ქადაგებები ვრცელდება საეკკლესიო უწყებებით მთელ საქართველოში“! რა არის ეს, თუ არ პროვაკატორობა, რომლის მიზანია არა მხარის დამშვიდება, არამედ მოწამვლა ჭრილობათა და სულით ნათესავ ხალხთა ერთი მეორეზე ამხედრება. მ. ვოსტორგოვი რისთვის არ ასახელებს მოსკოვში იმ გაზეთს, რომელიც იუწყებოდა, რომ ექსარხოსმა „თავის სიამოვნების გულისათვის გადააატარა ეტლი ვიღაც ქალს“, რაც ნამდვილად არა ყოფილა *.)?

მ. ვოსტორგოვი ბრალსა სდებს ყველა რუსებს, რომელნიც მომხრენი არიან საქართველოს ეკკლესიის უფლებებისა (იგინი კი ცოტანი არ ყოფილან კრების წინასწარ კომისიაში), უწოდებს მათ დანაშაულის ჩამდენთა წამქეზებლად.

რა არის ეს თუ არ პროვაკაცია?

„მ. ვოსტორგოვი არა სცნობს არავითარ სამსახურს ჯვაროსან ეკკლესიათა:საბერძნეთისა და საქართველოსი, რომელთაც მოწამეთა და აღმსარებელთა ძვლებზე აღზარდეს საქრისტიანო ეკკლესია, არ აქცევს ყურადღებას ღვთიურ ბრძანებას წმ. მოციქულებისადმი, რომლებზედაც ცეცხლის ენების სახედ გადმოვიდა სული წმიდა და ასწავლა მათ სხვა და სხვა ენებზე ლაპარაკი, რომ ექადაგნათ ღვთიური სწავლა ხალხისათვის; ვოსტორგოვი აკისრებს რუსეთს მოვალეობას გარდააქციოს ან გადახარშოს სხვა ხალხები რუსებათ. და ეს მიზანი მიაჩნია ღვთის განგებისაგან დავალებულად.“

„თავდასხმას საქართველოს ეკკლესიაზე „საეკკლესიო უწყებაში“ ჩვენ უფლება გვაქვს ვუწოდოთ პროვაკატორობა, რადგან მსგავსი მტრობა ეკკლესიურ მშვიდობიანობის დამყარებას კი არ ემსახურება, პირიქით სრულიად წინააღმდეგს, ისე როგორც ცრუ ცნობები, რომელთა მიზანია საქართველოს ეკკლესია

*) ტფილისის გაზეთები 1907 წ. მაისში გვაუწყებდენ, რომ ექსარხოსის ეტლმა უეცრად გადაუარა ვიღაცა მოხუც დედაკაცს, რომელიც ზემდეგში მოკვდა.

ბრალდებულ ჰყოს მასში, რაშიაც ის უცოდ-ველია.“

განსვენებულ ექსარხოს ნიკონს (აწ მისი მოსამართლე ღმერთი იქნება) იმდენად ეჯავ-რებოდა და ამცირებდა ქართველ კრებულს, რომ ღვთისმსახურების დროს, რუს ბერ-მონოზნებს აყენებდა რუს და ქართველ დეკანოზებს შუა *)

„ვინც სდგას ღვთის ეკკლესიისათვის, მართლმადიდებელ მეფისათვის და ვისაც სურს კეთილ დღეობა და ძლიერება რუსეთისა, ის ქადაგობს სიყვარულს, სიმართლეს და ემყარება უფლებაზე; ვინც ქადაგობს სიძულვილს და ემყარება ძალდატანებაზე, ის შეუძლებელია ჩაითვალოს დამცველად არა თუ რუსეთის თვითმპყრობელურ წყობილებისა, არამედ თვით მონარხისაც“, აი რა უნდა სცოდნოდა მ. ვოსტორგოვს.

სასულიერო კოლეგიუმს არ ძალუძს განა-ქარწყლოს ივერიის ეკკლესიის ავტოკეფალობა, რადგან ავტოკეფალობა დამყარებულია საღვთო კანონებზე და მსოფლიო კრებების დადგენილე-ბაზე. ავტოკეფალიასა და ავტონომიას შორის შესამჩნევი განსხვავებაა; ავტოკეფალობა არ არღვევს ეკკლესიურ ერთობას, ემსახურება ეკკლესიის კეთილ დღეობის აწევას და სარწმუნოების ამაღლებას ხალხში, მაშინ როდესაც ავტონომიას მიჰყავს სეპერატიზმი-საკენ.

მ. ვოსტორგოვი, თავის სიტყვაში, რომ-ელიც რვა ივლისს წარმოსთქვა მოკლულ იერარ-ქზე პანაშვიდის შემდეგ, ურჩევდა მომავალ მოადგილეს „არ დაეხია იმ პოზიციიდგან, რომელიც მკვიდრად დაიკავა წინამოადგილემ, აწ მოწამემ რუსულ საქმისათვის“. არ ესმის მღვდელ-პროვოკატორს, რომ არც ერთი ცო-ტა მაინც თავის პატივმცემელი მწყემსთმთავა-რი, რომელიც ვალდებულია მისცეს სამწყსო-სათვის პასუხი უზენაეს მწყემსთმთავარს და მოსამართლეს, არ დაიწყებს საქართველოში „რუსულ საქმის“ კეთებას, არამედ იშრომებს მართლ მადიდებლურ საქმისათვის, რომ მოი-პოვოს სიყვარული თავის სამწყსოთა შორის.

ლ. ჩიხელი.

(დასასრული).

*) რამდენად უპატივცემლოდ ეკიდებოდა რუსის სამღვდელოება ქართველ ეპისკოპოსებს, თითქმის თვით ექსარხოსთან აქედან სჩანს: ათ აპრილს, დიდ ხუთშა-ბათს, არდონის სემინარიის ინსპექტორი ბერმონოზონი იეროთე (ახლა 29 წლისა), როდესაც შევიდა სიონის სობოროს საკურთხეველში, მივიდა ლოცვა კურთხევისათვის ექსარხოსთან და ბაკოს რუს ეპისკო-პოსთან. მაგრამ იმავე დროს არ მივიდა ქართველ ეპისკოპოსებთან, პეტრესა და დავითთან; რუს არხი-მანდრიტმა ზინოვიმ, მიიღო რა ადგილი ექსარხოსის კანცელარიის მმართველისა სამკინოდ არ სცნო სადარ-ჯაზოდ მისულიყო ქართველ ეპისკოპოსებთან.

## როგორ ეჭცევა დღეს მღვდელი თავის მრევლს.

ცხადია ყველასთვის, რომ გადაჭარბება ანუ უკიდურესობა არასოდეს და არაფერში არ ვარგა, პირ იქეთ ძლიერ მავნებელიც არის იგი. არც მღვდლის მრევლისადმი გარდამეტი მოფერებაა სასარგებლო და სასურველი. მღვდე-ლი ისე უნდა მოექცეს და იმდენად ასიამოვ-ნოს თავის მრევლს, როგორც შეესაბამება მის ხარისხის უაღრესობას, მის მწყესურ სი-დიადეს და მიზანს. მღვდლის ქცევა მრევლი სადმი და მათ შორის ურთიერთობა ისე-თი უნდა იყოს, როგორსაც მოითხოვს საზო-გადოთ სამწყემსო წესი და კანონი. მღვდელი ამ შემთხვევაში არ უნდა გასცილდეს თავის სამწყემსო საქმის და მოვალეობის ფარგალს. თუმცა ასთე უნდა ექცეოდეს მრევლს თავისი მღვდელი, როგორც მწყემსი, მაგრამ, სამწუ-ხაროთ, მაგალითები კი სულ წინააღმდეგს ლაპარაკობენ. მოვიყვანოთ თვით მაგალითებიც ამ არა ნორმალურ მოვლენისა სამღვდელოე-ბის ცხოვრებაში და შეძლებისადაგვარათ თან განვმარტოთ მიზეზებიც, რომლებითაც გამოწ-ვეულია იგი.

ნივთიერი უზრუნველყოფა მღვდლისა სოფლად თუ ქალაქად დღეს ისეა მიწყობილი და დაყენებული, რომ ის უნებლიეთ ეჩვევა ვერცხლის მოყვარეობას და ანგაარებას: დღეს მღვდელი უსასყიდლოთ ფეხსაც არ გადას-

**დგამს** თავის მრევლში რაიმე წესის ასასრულებლად. რადგან სასყიდელის რაოდენობა საყოველთაოდ ერთნაირი არ არის და განუსაზღვრელია, არამედ დამოკიდებული მრევლის შეძლებაზე, ზოგჯერ სინიდისსა და სურვილზედაც, ამიტომ მღვდელიც, რასაკვირველია, ყოველი ღონით და ძალით სცდილობს, რაც შეიძლება, მეტი მიიღოს საგამრჯელოთ; ამის მიხედვით მწყემსი თავის სამწყოს ვალდებულებათა აღსრულების დროს ერთნაირათ არ ეპყრობა მრევლს. როდესაც შეძლებული მიიწვევს მღვდელს რომელიმე წესის ასასრულებლათ, ისიც დაუყონებლივ გარბის მასპინძელთან და დაუბრკოლებრივ უსრულებს მას ყოველივეს. როდესაც ღარიბი მიჰმართავს იმავე თხოვნით თავის მოძღვარს, ეს გულგრილად ღებულობს მას, ყურადღებით არ უსმენს თხოვნას, არ აძლევს სწორ და გადაჭრილ პასუხს, უგვიანებს საქმეს და უამისოთაც ხელმოკლეს აგდებს მეტ სიღარიბეში. როდესაც სავალდებულო წესი არ არის, მაშინ ზოგიერთი მოძღვარი სალაპარაკოდაც არ გიკარებს სიახლოვეს მორჩილებით მთხოვნელ ღარიბს, პირ იქით უხამსი სიტყვით მოიშორებს თავიდამ. თვით წესსაც სხვა და სხვა ნაირად უსრულებს მღვდელი პირველსაც ჲ მეორესაც მდიდარს განსაკუთრებული ყურადღებით და სრულად უსრულებს მღვდელი ყოველივეს, ღარიბს კი შემოკლებით და ისიც მოჩქარებულათ- პარაკლისია მაგ. სახდელი. შეძლებულს, ან როდესაც მეტ სასყიდელს გამოელის მღვდელი, რაც შეიძლება, მეტი მოწიწებით, მეტი მკაფიოდ გამოთქმით, თავიდამ ბოლომდის იოტის გამოუტოვებლად და გაჭიანურებულათ იხდის პარაკლისს. რამდენ სიჭარბეს და ყოველი მხრით სიუხვეს იჩენს მღვდელი ამ შემთხვევაში, იმდენ სიძუნწეს სჩადის, როდესაც ღარიბს უხდის პარაკლისს, ან და გამოელის მცირე სასყიდელს. თუ ვინმემ შენიშნა რამე, მოძღვარიც შესაფერის პასუხს აძლევს: „რაც მომეცი. პარაკლისიც მისი შესაფერისი გიხადეო“. სხვა წესების შესრულების დროსაც ასევე ექცევა მღვდელი თავის მრევლს. ვთქვათ, მდიდარმა მცირე პანაშვიდი შეუკვეთა და ღარიბმა დიდი. პირველ შემთხვევაში მღვდელი მეტ დროს ანდომებს, ვინემ მეორეში, ისე გააგრძელებს და ვითომ მიხვრა მოხვრაც იმნაირი აქვს, რომ ყოველ ნაბიჯზე ყველაფერში ნაძალადეობა ეტყობა. მდიდრის ქორწინების და დასაფლავების პროცესიას ხომ ისე დიდებით მოაწყობს და მორთავს, რომ ზედ მიალევს თავის უნარს და გამჭრიახობას ყოველივე ამას სჩადის მღვდელი, რასაკვირველია, არა რაიმე წმიდის აზრისა და მიზნისათვის, არამედ უხვი მასპინძლის გულის მოსაგებათ, მისი მეტი სიამოვნებისათვის და მეტი გამორჩენისათვის.

მღვდელი სახლად მიდის მრევლთან შობას, წყალკურთხევას და აღდგომას. მრევლთან მისვლა-მოსვლა და მასთან დაახლოვება ბევრი მხრით სასარგებლო და სასურველია. ამ მისვლით მღვდელი ეცნობება მრევლის ცხოვრებას და მის ზნეობრივ მდგომარეობას. მაგრამ ამ მისვლა-მოსვლის დროსაც ეწევა მღვდელი გარდამეტ მოფერებას, სიამოვნებას, პირმოთნეობას და სხვ... მისვლის დროს მრევლი სტუმართმოყვარეობისა გამო ხშირათ ჰპატიჟობს მღვდელს და აწოდებს პურ-მარილს. მღვდელი კი სულ ყველას არ უსრულებს ამ თხოვნას, ის რჩება მდიდართან იმ აზრით, რომ ასიამოვნოს, არა აწყენიოს რა და მით მეტს გამორჩეს. ღარიბს კი უარს ეუბნება, რომელსაც დიდათ სასიამოვნოთ რჩება მოძღვრის სტუმრობა, იკმაყოფილებს თავმოყვარეობას, ფიქრობს რა, რომ მეც კაცად ჩამაგდოვო. ზოგჯერ მღვდელი ისე უახლოვდება ზოგიერთ მრევლთაგანს, რომ მეგობრულ და მოყვრულ კავშირსაც კი იჭერს მასთან. ამ ნაძალადევ მოკეთესთან დაუპატიჟებლადაც კი ხშირად მიდის მღვდელი, რადგან მისთვის იქ სულ მუდამ დღე ღიაა კარი. მაგრამ ამ გვარ დაახლოვების დროს მღვდელი, ხშირათ ივიწყებს რომ ის მღვდელია. თავის პირად ინტერესების გამო მღვდელიც მზათ არის ყველაფრათ ასიანოვნოს თვის მფარველს, გადაუშლის თავის სულსა და გულს, ზედ მეტს სიტყვობს, სალაპარაკო საგანი და შინაარსი ხომ სულ შეუფერებელია, იკინის, მღერის. თა-

მაშობს... თავს ველარ იპერს და ზრდილობის კანონსაც გადადის.. სამწუხარო უფრო ის არის კიდევ, რომ მღვდელი ამ გვარ პირებს უამხანაგდება მის ხარისხისათვის შეუსაბამო საქმეებში, ავიწყდება, რომ ის ყველგან და ყოველთვის ღვთის მოსამსახურეა. ღირსეული მოძღვარი, რომელიც სამწყსოზე მამობრივი მზრუნველობისა გამო შეყვარებული ჰყავს თავის სამწყსოს, მისაღებიც არის და პატივსაცემიც. მაგრამ ეს მიღება და პატივისცემა წრესგადასრული არ უნდა იქნეს. შეიძლებოდა სხვა მაგალითებიც მოგვეყვანა და მრავალმხრივათ დაგვეხატა მღვდლის მრევლისადმი ასეთი შეუსაბამო მოქცევა, მაგრამ ვიკმაროთ ჯერ-ჯერობით ესენიც.

ცხადია, რომ ამ გვარი ქცევა მღვდლისა თავის მრევლისადმი არამც თუ სასარგებლო და მოსაწონია, ძლიერ მავნებელიც არის, როგორც მღვდლისათვის პირადათ, ისე სხვა მხრივაც. მღვდელი თავის მოვალეობის ასრულების დროს უნდა იყოს ყოველთვის ერთნაირი, სწორი, მიუდგომელი და დაუზარებელი. თუ ის ერთს დროზე და სრულიად შეუსრულებს ყველაფერს, ხოლო მეორეს გვიან და ცვლილებით, ერთს აამაღლებს, ხოლო მეორეს დაამცირებს და ისიც სხვა ანგარიშებისა გამო, რასაკვირველია, მეტის-მეტი უსამართლობა იქნება მღვდლის მხრით ამ შემთხვევაში. მღვდელი ერთნაირად უნდა ექცეოდეს მრევლს, რადგან ყველანი მისი სულიერნი შვილნი არიან, არ უნდა არჩევდეს მდიდარს და ღარიბს, გავლენიანს და უგავლენოს, უნდა იქცეოდეს საზოგადოთ, როგორც კეთილი მწყემსი. თუ პატივს სცემს ყოველივე სამართოს და თავის საკუთარ ხარისხსაც, მღვდელს არ შეშვენის არავითარიმე ცვლილების შეტანა წესის აღსრულებაში, ან მიუმატოს, ან დააკლოს და ისიც ანგარიშებითი მიზნით. ამ მიზნით და გზით მღვდელი თუმცა მოახერხებს მეტის შეძენას ნივთიერად, მაგრამ ამავე დროს ჰკარგავს სხვას ყველაფერ უმთავრესს, თავისი თავისადმი პატივისცემას. თუ სხვის თვალში კაცმა დაჰკარგა თავის თავისადმი პატივისცემა, მაშინ სხვასაც ადვილათ დაჰკარგავს: სიყვარულსაც და ნდობასაც, ანგაარიება არა თუ აფერხებს მღვდელსა და მრევლშორის ურთიერთობას, კიდევაც ნერგავს მრევლის გულში მის და მისი ხარისხისადმი სიმძულვარეს. მრევლთან დაახლოებას და კავშირს ანგაარებით და ეგოისტურ მიზნისათვის კი არ უნდა ხმარობდეს მღვდელი, რაიცა არ შეეფერება ეკლესიის მოსამსახურეს, არამედ უნდა გამოიყენოს როგორც საშუალება მაღალი და წმინდა მიზნის მისაღწევათ. თუ ესე არ მოიქცა მოძღვარი, მაშინ ნამდვილ და მართლმორწმუნე მრევლთა თვალშიც ჰკარგავს ნდობას, ჭრყვნის კიდევაც მათ და აღარაფერში აღარ წარმოადგენს მათთვის მარგებელ და კეთილსაყოფელ მაგალითს. ამ უნდობლობას და სიმძულვარეს ადვილათ შეუძლია ჩაუნერგოს მრევლს სიმძულვარე და გულგრილობა საღმრთო წერილისადმი, გახადოს თვით წესები მათ თვალში მღვდლის გამოსარჩენ და გასამდიდრებელ საგნათ. დამცირება და შებღალვა საღმრთო წესებისა, და მღვდლის ხარისხისა და პიროვნებისა, აბუჩად აგდება, მათდამი სიმძულვარე მრევლის მხრითა—აი აუცილებელი შედეგი სულიერ ამმათა. პირმოთნეობითი და გარდამეტ მოფერებითი ქცევისა თავიანთ მრევლთადმი.

ყველა ზემო ნათქვამი და სხვაც ამის მსგავსი მოვლენები სამდვღელოების ცხოვრებაში, როგორც ამ წერილის თავში გაკვრით მოვიხსენიე, აიხსნება თვით სამღვდელოების ცხოვრების პირობებით. თუ გულდასმით ჩაუკვირდებით ამ პირობებს, დავინახავთ, რომ უკიდურესი მოფერება მღვდლისა თვის მრევლისადმი აუცილებელია და რამდენიმეთ მისატევებელიც. სამღვდელოება უზრუნველყოფილი არ არის მატერიალურად არც ჯამაგირით, არც სხვა რაიმე წყაროთი. ისა სცხოვრობს უმთავრესად მრევლის შემოსავლით. მისი მდგომარეობა მატერიალური მხრით, მისი ამ გვარი თუ სხვანაირი ცხოვრება დამოკიდებულია მრევლზე და მისი გულის მოგებაზე. არც ჭირში და არც ლხინში, არც შინ და არც ეკლესიაში მღვდელი უსასყიდლოთ ფეხსაც არ გადაადგამს მრევლისათვის წესის შესასრულებლათ. შეუძლია ამის შემდეგ მღვდელს არ

ეცადოს, როგორმე მრევლის გული არ მოიგოს, არ ასიამოვნოს და არ მოეფეროს მას, თუ გინდ ესეთი ქცევა საზარალოც იყოს მისი ხარისხისათვის? სიღარიბე, ათასგვარი მოთხოვნილება და მატერიალურად უზრუნველყოფა აიძულებს მღვდელს ჩაიდინოს ყოველივე ესე. მღვდელიცა ცდილობს დააკმაყოფილოს მდიდარი და გავლენიანი მრევლის ხანდახან უკანონო მოთხოვნილებანიც, ეფერება და ადიდებს მათ. ხედავს რა მღვდლის მხრით მოფერებას, სიამოვნებას, მორჩილებას, მრევლიც წესი იქნება თუ სხვა მღვდელმოქმედება, შინ თუ ეკლესიაში ასრულებინებს თავის ნებასა და გემოვნებაზე, არ დაგიდევს კანონიერია, თუ უკანონო მისი თხოვნა. თუ გაკადნიერდა მღვდელი და უარი უთხრა, გამორჩენის დაკარგვას ვინღა ჩივა, ვინ იცის რა შედეგი არ მოჰყვება მის ვითომდა ასეთ თავხედობას. ამით ის არ გვინდა ვთქვათ, რომ მღვდელს ჰქონდეს უფლება მოეფეროს მრევლს უკიდურესობამდე, თუმცა ასეთი მოფერება საზარალოც არის მწყემსურ მოვალეობისათვის. არამედ ვამტკიცებთ, რომ მღვდელი ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ საჭიროება აიძულებს ეგრე მოეფეროს ისეთ მრევლს, რომელიც გამორჩენის მხრით სასარგებლოა მისთვის. მატერიალური ნაკლულევანება აიძულებს მღვდელს ეცადოს გავლენიანი მრევლის გული მოიგოს, აიძულებს ჩაიდინოს უსამართლობა და ამოქმედებს ფრიად შეუსაფერისად.

ეჭვი არ არის, რომ უკიდურესი მოფერება, ყველაფერში ამყოლ-დამყოლობა და დათმობა ბევრ ზიანს აყენებს მღვდლის უდიდეს მწყემსურ სამსახურს. მრევლის უკანონო მოთხოვნილების შესრულებით, რათა აამოს მას, მღვდელი ძლიერ ჩქარა დაჰკარგავს გავლენას სამწყსოზე, დაჰკარგავს ნდობას და პატივისცემას იმ პირთაგანაც, რომლებსაც აამებდა, ასე მორჩილად ეკიდებოდა, ისინი ამ შემთხვევაში არ იღებენ თავის მოძღვარს ნამდვილ მქადაგებელ, მართლის მთქმელ, პირში მმხილებელ მოძღვრათ, არამედ როგორც მათზე დამოკიდებულს, მონას და მორჩილს. მწყემსზე ამ გვარ შეხედულობის წყალობით, ვერც თვით სამწყსოს საქმე წავა კარგათ და ჯეროვანად. მდიდარ და გავლენიან მრევლთან დაახლოებით, მათთან ხშირი მისვლით, მათის გარდამეტ მოფერებით და სიამოვნებით მღვდელი მრევლში ჰქმნის თავის თავზე ცუდ შეხედულებას, როგორც პირმოთნე, ფარისეველი, გამდიდრების მაძიებელ კაცზე, ჰბადავს მათში სიმძულვარეს ღვთის მსახურებისადმი, შეურაცხყოფას სიწმიდისადმი, სარწმუნოებრივ საიდუმლოებისადმი და საეკლესიო წესებისადმი.

მაგრამ თუ მოძღვარი ნამდვილათ ასრულებს თავის მწყემსურ მოვალეობას თავის მრევლისადმი, არ ზოგავს მათთვის არც დროს-არც თავს, არც ოჯახს, მეორე მხრით როდესაც თვითეულ მრევლთაგანს იმედი აქვს, რომ მღვდელი საჭიროების დროს მივა მასთან თავის დროზე უარისუთქმელად, გაუჯავრებლად, გულით მოქცევა ყველას, ვინც კი მიმართავს მას რაიმე საჭიროებისათვის, როდესაც შინ მიმსვლელს მიიღებს კეთილის გულით და სულით, ტკბილი სიტყვებით და უჩვენებს, რომ მზათაა დაეხმაროს მას ყოველ შემთხვევაში, რითაც და როგორც შეუძლია, მაშინ არავინ შეურაცყოფილად არ ჩასთვლის თავის თავს და არც უკმაყოფილოდ დარჩება თავის მღვდლისა, პირ იქით, გულითად შეუყვარდება ის და დამყარდება მათ შორის კეთილი და მამაშვილური განწყობილება და ურთიერთობა. მაგრამ ეს მოუხერხებელია დღევანდელ მდგომარეობაში, როცა მღვდელი მატერიალურად სავსებით დამოკიდებულია მრევლისგან.

მღ. ნ-ფ-რე კანდელაკი.

## რას ამბობენ შესანიშნავი ადამიანები ბიბლიის შესახებ? *)

მთელ თავის სიმაღლესთან ბიბლია მაინც საუცხოოდ მარტივია და ხელმისაწვდომი. რა ნაზად თანაუგრძნობს სადმრთო წერილი ჩვენს სიმარტივეს! ვსთქვათ, ბიბლია რომ მთლად იეზეკიას წინასწარმეტყველებას ემსგავსებოდეს, იგი ვერ მოუტანდა სასურველ სარგებლობას კატორღობის უმეტეს ნაწილს. წარმოიდგინეთ, რომ მთელი ბიბლია ისეთი საიდუმლო იყოს, როგორც აპოკალიფსი, მაშინ კაცნა არ ადემატებოდა ჩვენს დროს მისი

შესწავლა? მაგრამ რა მარტივია სახარება! რა გასაგებია ყველასთვის სიტყვები: „**რომელსა რწმენეს და ნათელიღოს ესცხონდეს!**“ (მარკ. XVI, 16).

რა წარმტაცად ცხადია სახარების იგავნი დაკარგულ დრაქმის, ცოფიდ ცსოვარის და უძღებ შვილის შესახებ! მართალია სიმრთო წერილში არიან საიდუმლონი ღრმანი, უფსკრულნი, რომელთა წინაშე უნაჯიერესი მოაზრენიც, უმახვილესი დეთისმეტყველნიც თავს იხრიან თავის უმეტრების შეგნებით, მაგრამ უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ შესახებ კაცის არსების და ცხოვრების უმთავრეს და არსებით—კითხვათა იგივე სიმრთო წერილი საკვირველად ცხადია, იგი აქ ბრწყინვალეა; როგორც მზის სხივი და შესანიშნავად მარტივია. სახარების გზაზე არ დაბნევა არც ერთი მოგზაური. ეს მარტივი ბასია მახლობელი არსებისა,—ეს დიდი ზრახა დეთისა, შთამოსული ჩვენს უძღურებასთან, რათა შეიძლოს მან აღსდგა მის სამყოფლეშდე.

„არც ერთ წიგნს,—ამბობს ბერსიე,—არ აქვს ისეთი ეფექტის შემცველი თვისება, როგორც ბიბლიას; არც ერთს არ შეუქმნია ასთე ადამიანის სული, მიუხედავად იმ ღრმა სხვაობისა, რომელიც ეძლევა ადამიანს ჭკვისაგან, აგებულებისაგან, ჩამოყალიბებისა და განათლებისაგან. ვერც ერთს ვერ შეძლებია დამენოდა ასე მიმართულებითა და განთლებით სრულიად სხვა და სხვა ხალხთა შეგნებას, გადაქცეული აუცილებელ ნაწილად მათი სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ბუნებისა; ეს წიგნი **პურია** სულისა და იგი სრულიად ღირსია ამ სახელწოდებისა, რადგანაც ბური ხორცისათვის იმდენადვე საჭიროა და შესაფერი ჩვენ ფიზიკურ ბუნებასთან, რამდენად ეს წიგნი ჩვენი სულისათვის. [15])

ბიბლია შესანიშნავად შეწყობილია ბავშვებისთვის შესათვისებლად, რომელთა შორის ეს წმიდა წიგნი, განსაკუთრებით სახარება, ყოველთვის ბოლობდა ფართო წრეს გულმოდგინე მკითხველებისა, რომლებსაც განუშორებლად იზიდავდა ბიბლიაში გაჩენილი უბრალოდ, ყველასთვის მისაწვდომი სახით უმაღლესი და უღრმესი ჭეშმარიტება დმერთზე, ქვეყანაზე და კაცზე. **ბეკკლი** ერთ თავის სიტყვაში ამბობს, რომ თუმცა იგი საერო განათლების სრული მომხრეა, მით არა ნაკლებ სრულებით ვერ იხილავს რამე ბიბლიის სანაცვლოდ, რადგანაც არ არის სხვა წიგნი, რომელშიაც უმაღლესი და განმანმტკიცებელი აზრები ისე მიმზიდველი იყოს ბავშვის გონებისათვის, როგორც ეს ბიბლიაში. ბოლოფესორი ს. ილარი სწერს: მიმოგზავრნია ჩრდილოეთში და სამხრეთში, დასავლეთში და აღმოსავლეთში და თვრიად გამოცა იმ კარეშოებმ, რომ ყველგან, სადაც ბიბლიას კითხულობენ, არსებობს მწერლობა საბავშო და სამუშახალხო; მაგრამ იმ ქვეყანაში კი, სადაც ბიბლია არ იკითხება, როგორც იტალიაში, ან თითქმის სუფრანგეთშიც, არ არსებობს მწერლობა უმაწვილთა და ყრმა ხალხოთვის. სად იპოვნით ამ კვარ ისტორიას? სად იპოვნით ასეთ მოთხრობას? სად ნახავთ ასეთ თვისებებს? სად ნახავთ ასეთ სწავლას! სად ნახავთ ასეთს ბოეზიას,—დიადს და ამაგე დრამს ყველაზე წინ ბავშისთვის და ხალხისთვის ხელ მისაწვდომს, რასაც იძლევა ბიბლია?.. მსოფლიოა მისი ენა! მსგავსი არის მზისა, რომელიც ანათებს ყველგან და ყველას!.. შეხედეთ ბიბლიის სტილს. ძნელია მისი აწერა, მაგრამ ყველას აქვს განსაზღვრული წარმოდგენა მის შესახებ. სიმარტივე სრული ობიექტიური სიმშვიდე მის მოთხრობათა, მისი ძალა, მისი სიცხადე, მისი შვენიერება— ყველაფერი ეს ყველას ეგრძვნია ბიბლიის კითხვის დროს, მორწმუნე თუ ეთეიდა იგი, თუ ურწმუნო. სად იპოვნით მთელ ქვეყნის ლიტერატურაში ისეთ მოთხრობას როგორიც არის მოთხრობა აბრაამზე, რომელმაც მიიღვნა ისაკი **მორიას** მთაზე, ან ლაზარეს აღდგომაზე, ან იოსებზე, რომელმაც განუცხადა თავი ძმებს? ან აიღეთ სახარება, რომელის მწერალნი ერთი წუთითაც არ გამოაჩინებენ თავის აღტაცებას, ან თავის გრძნობას.

არსებობს უსაზღვრო სიფრცე ხელოვნების ეთვალ ნაწარმოებისა და ბიბლიას შორის. ბიბლიაში ხელოვნების კვალიც არა სჩანს; შეუძლებელია კრიტიკულად გასინჯვა მისი სტილისა. როგორც ბუნება უმაღლესია ხელოვნებაზე, ისე ზეშთაგონება უმაღლესია ბუნებაზე. გენიოსი ადამიანი ჩვეულებრივ კაცზე უმაღლესია. ის თვით კანონია თავის თავისა, მისი სიტყვა, მისი სურათები, მისი ქანდაკება,—ეს თითქო მისი საკუთარი ქმნილებაა. თუმცა განსხვავება გენიოს ადამიანისა ჩვეულებრივ ადამიანისაკენ ფრიად დიდია, მაგრამ მაინც არაფერია იმ განსხვავებასთან შედარებით, რომელიც არსებობს სულის წმიდის ნათლით განათებულ ადამიანსა და უბრწყინველ კენიოს შორის. და ეველამ — მორწმუნემ თუ ურწმუნომ უნდა თქვას: „**ეარა სადა ვინ იტყოდა კაცი ესრეთ, ვითარ ესე კაცი**“ (იოან. VII, 46),— არადეს არც ერთი წიგნი არ დაწერილა ისე, როგორც ეს წიგნი“!..[16])

რაოდენი საუკუნეა, ბიბლიას რომ კითხულობს კაცობრიობა, რაოდენ ბზის ვაითხულობთ და ბგუსნ

[15]) Бесѣды. т. II спб. 1891 г. стр. 192.

[16]) см. брошюру А. Сафира, вѣчное слово и писанное слово.

მის მასში ერთი და იგივე,—და მაინც არავინ მოისურვებს რასმე ახალს. რასმე უკეთესს! სადმრთო წერილს დაულეველი სულიერი სიმდიდრე აქვს. ახალი აღთქმა, მაგალითად, ფრიად პატარა წიგნია, და მაინც, აი უკვე მთელი ცხრაშეტი საუკუნეა, რაც სწავლობენ, ხსნიან და ქადაგობენ ამ წიგნს და ვის შეუძლიან სთქვას, რომ იგი სრულიად შესწავლილია! მხოლოდ ზეციერ თავს შეუძლიან წარმოიდგინოს ეს. ეს პატარა წიგნი თითქოს დიდი ბღლია, რომლის ხეებზე ოფელოვის შეიძლება ნაოფის ჰოფნა, რავდენიც უნდა კრიფონ იგი. როგორც კეთილსურნელოვანი ნიავთიერება რავდენიც უფრო ისრისება თიოებით იმდენათ მეტს კეთილ სურნელებას უშვებს, ისეა სადმრთო წერილშიც: რავდენსაც უფრო სცდილობს ვინმე შთაიხედოს მასში, იმდენად მეტს სულიერ სიდამზეს ადმოაჩენს მის შორის, იმდენათ მეტს შეიძენს მისგან ცხოვრების სიბრძნეს და უხრწნელ სიმდიდრეს. ბიბლიის თითქმის მოკლე თქმულებაშიაც, როგორც ამბობს წმ. იოანე ოქროპირი, შეგიძლია იპოვო გამოთქმული სიმდიდრე ესეთი: „სადმრთო წერილში არ არის არც ერთი მარცვალი, არც ერთი ხაზი, რომლის სიღრმეში არ იყოს დიადი საუნჯე“. „ეროსოდეს არ შეიძლება,—ამბობს მღვდელმთავარი, სადმრთო წერილის აზრის ამოლეგა, ეს უსაზღვრო წყარო“.

ბიბლია წიგნია მოცემული ზეციერი მამისაგან ყველა დროისთვის, ადგილისა და ხალხისთვის, და რავდენ უფრო სიყვარულით დავეწაფებით მას და ვასაზრდოვებთ მით ჩვენს სულს, მით უმეტეს იგი აძლევს ჩვენ შორის ლტოლვას ღვთისადმი, წყურვილს ზეციერისა და სამარადისოისს, და სიყვარულს ყოველივე ბრწყინვალე და წმიდისადმი, მით უმეტეს ვიგრძნობთ თავს ბედნიერად, გაგვთბობს სხივები ღვთის სიყვარულისა და დაგვბერავს სიო ფაფუ თავისუფლებისა და დაუშეებელ მშვენიერებისა. ტუალად კი ორ უყვართ ესე ბიბლია ჭეშმარიტ ქრისტიანებს. რავდენ ცეცხლ სიტკბოებას განიცდიან იგინი, როცა კითხულობენ ან ისმენენ სადმრთო წერილის სიტყვას, მშვიდობისა და სიყვარულის მაუწყებელს! რავდენი წარუვალი სიხარული ამოაქვთ მათ სადმრთო ცამოცხადების დაუშრობელ წყაროსაგან—საუკუნო ცხოვრებისკენ მიმდინარე ცხოველ წყლის ღვთიგანცხადებულ წყაროსაგან! რა წმინდა ნაკადს ფაფუ ბისა და ნუგეშისას ასხამს მორწმუნეთა სულში სადმრთო ხმა მხოლოდ შობილი ძისა, რომელიც გვაძლევს კეთილ ცხოვრების ნამდვილ ჭეშმარიტ იდეალს და გვიჩვენებს ყველასთვის ხელმისაწვდომ საშველებას ამ იდეალის მისაღწევად!

სადმრთო წერილის კითხვა აუცილებელი საზრდოა ჩვენი სულისათვის, მისი საფუძვნელია და სიცოცხლე. ვინც დაღლილია ცხოვრების სიმძიმით და სურს სულის განმგრეა, მივიდეს წინასწარმეტყველთა და მახარებელთა სადმრთო წყაროსთან და იქ ნახავს ღმერთს, გამოამხსნელს და ეფველივე მადლის მომნიჭებელს. სადმრთო წერილი ამ შემთხვევაში შეგვიძლია შევადართ დვიათის ქნარს, რომლის ხმები უმსუბუქებდა საულს მეფეობქმელობის; სადმრთო წიგნებში გაისმის ციური კილო მორწმუნეთა გულის მოწიწებით ლოცვად ადმძვრელი.

რომელმა მორწმუნემ არ იცის თუ რა ძალა აძლევს ადამიანს ღვთის სიტყვა ცოდვასთან ბრძოლაში! რაზომ სულიერ სიფხიზლეს და სიმაგრეს იძლევა იგი უბედურებაში,—რანაირ ნუგეშს გვაძლევს მწუხარებასა და ვარამში,—როგორ ამშვიდებს შეძრწუნებულ და აღელვებულ სინიდისს. მარტო სულზე კი არა აქვს კეთილი გავლენა სადმრთო წერილის კითხვას. წმ. სერაფიმე სროველის სიტყვით, რომელმაც თვის შორის განიცადა მადლიანი ძალა სახარებისა, ღვთის სიტყვა თვით ადამიანის სხეულზეც მოქმედებს; აძლევს მას სიფხიზლეს, სიახლეს და სიმაგრეს; ეს ფაქტია რომელსაც უსაოუოდ უნდა დავერწმუნოთ, თუ მივიდებთ მხედველობაში ამ ღრმა ცვლილებას, რომელსაც ახდენს ადამიანის არსებაში ღვთის სიტყვა, რომელიც მოციქულის სიტყვით, „**მისწვდების ბანსაყოფელამდე სამშინველისა და სულისა, ნაწევართა და ტვინთა**“ (ებრაე. 4,12). ნეტარ ადამიანებს მარად უყვარდესთ და აფასებდენ ბიბლიას! ნეტარ ეფველივის, უბედურებასა და სიხარულში, ბედნიერებასა და ვაებაში, კეთილ დღეობასა და ავათ-მყოფობაში მიექცეოდენ სარწმუნოებით განმცხოველებელ წყაროს—ღვთის სიტყვას, რადგანაც „ცხოველ არს სიტყვა ღვთისა და ძლიერ (ებრ. 4,12)! აქ ბიბლიაში საძიებელი, ჯაში და სავსებაა უმაღლეს სიბრძნისა, ცხოველი წყაროა უსაზღვრო საუკუნო ჭეშმარიტებისა, მცხინვარე სხივია ნათლისა ნათლისაგან, რომელიც უნათებს ადამიანებს ცხოერების გზას ამ ქვეყნის ცოდვათა ღრმა სიბნელეში.

ონ. მწირი.

დასასრული.

# პედაგოგიურ ნაწილს.

**ინსპექტორ სალარაძეს.**

თუ ღმერთი გწამს, შენს შეგირდებს
პოლიტიკას ნუ აჩეჩებ,
ნურც ცენტრალიზმის ლოდინში
სიხარულით ყურს აცეცებ.
ნურც ირცხვი შენი მოწაფის
ქართულად საგნის სწავლებას,
მშობლის ალერსი ერჩიოს
შტრის რისხვასა და ბრძანებას.

**ინსპექტორ ლოთაქიფანიძეს.**

მოძღვარი, მასწავლებელი,
ხამს ყრმას მოეპყროს მშობლურად,
შეცდომებს გაუსწორებდეს—
ალერსით მამა შვილურად,
ბაასში გამოყვებოდეს
თანასწორ, ამხანაგურად;
მოზარდ ბავშს ეჩვენებოდეს
არა ვეშაპად—კაცურად.
შენი დევიზი ის არის:
მოწაფე, დაბნდეს, შეშინდეს,
შენ ღმერთად წარმოგიდგინოს
თავის თავს ბლუდ და ყრუდ თვლიდეს,
სულ მას ფიქრობდეს, შენს რისხვას
თუ რა გზით შემოუვლიდეს...
მიჩვენე შენი მოწაფე,
ვის დედაც შენ არ გწყევლიდეს!

**სათ.-აზნაურ გიმნაზიას.**

„ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს“,
როს მან მიზანი თქვენი ისმინოს,
რომ თქვენ წინ, მუხლი არ მოიყაროს,
თქვენ სადღეგრძელოდ „გადაკრავს ღვი-
ნოს“.

მოვესწარით, რაც გვინდოდა:
ვხედავთ ყრმათა ქართლის შვილთა,
ქართულ ლიტერატურაში
გაჩვეულთ და განსწავლულთა.

**სილოვან ხუნდაძეს.**

ერთს გვარში ორს ხომ კი იცნობ
ერთ პატრიოტს, ერთ უგბილსა?
გრიგოლის ლექციისაგან
ხედავ სერგოს განაწბილსა.

ღმერთი ასე დაამარცხებს
მშობლის მომძულვარე შვილსა!
შენი მოძღვრება ვრცელდება
„ვსუამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა“.

**კერძო გიმნაზიას.**

მკურნალმა, თუ სამკურნალომ,
ვინც ეს შკოლა დაარსეთ,
თუ უფლება მოიპოვოთ,
მართლაც დიდათ დააფასეთ.
ეცადეთ, ჰკურნოთ ზნეობით,—
სულის სიმშვიდით აღავსეთ
ის დანთხეული ბავშები,
რითაც თქვენ კლასი აავსეთ.

**კირიონ ეპისკოპოსს.**

უწყალოთ შამოგესია
მეზვერე, ფარისეველი,
შენში, კი განხორციელდა
იესო ნაზარეველი.

**იმერეთის ეპისკოპოსს.**

საისტორიო ქველმოქმედს
მემკვიდრე დარჩეს საქები,
მისგან კიდე მეტს ითხოვენ
ეს არის პასუხ საგები.

**ლეონიდ ეპისკოპოსს.**

მწყემსო კეთილო, შენ სამწყსომ
თავი ზვარაკად, რომ დადვა;
მეველემ შენი დაჩიხვა*)
შემდეგისათვის გადადვა.

**ქუთაისის ქალებს.**

მომილოცნია, ქალებო,
თქვენ კი გეყოფათ საზრდოთა
მთელის წლის სალაპარაკოდ,
დღეს ქუთაისში რაც მოხდა.

—

ამ ხოხობმა ზოგი აქო,
ზოგის ჩირქიც არ დამალა,
და თითონ კი დღეს დღეობით
სალაც ჩირგვში მიიმალა.

1910 წ. იანვარი ხოხობი.

*) დაჩიხვა—პატრონობა

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჯედლიძე**.
გამომცემელი **იოსეფ ლეჟავა**

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Кирищева